

შპს „ვარციხე 2005“

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილ ჰესი #4-ზე სააკუმულატორო ბატარეის შეცვლა (შეძენა და მონტაჟი)

ტექნიკური დავალება

1. ზოგადი დახასიათება

ჰესი #4-ის სააკუმულატორო ბატარეა უზურნველყოფს სადგურის მუდმივი 220 ვ დენით ოპერატიული წრედების (დაცვის, სიგნალიზაციის, ამომრთველების მართვის, ავარიული განათების) კვებას.

ჰესი #4-ზე ამჟამად დამონტაჟებულია CHII-200 ტიპის სააკუმულატორო ბატარეა (108 ელემენტი). არსებული სააკუმულატორო ბატარეა ექსპლუატაციაში იმყოფება 17 წელი (ექსპლუატაციაში მუღებული იქნა 2007 წელს).

ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად ადგილი აქვს ელემენტების დაზიანებას - შეინიშნება აკუმულატორებში ფირფიტების დაზიანება (ჩამოშლა), დაზიანებულია ელემენტების ჰერმეტიულობა, რის გამოც საკონტაქტო ამომყვანები კოროზირებულია და დაზიანებულია (მოდრაობენ ბუდეებში). ფირფიტების დაშლის და დაზიანების შედეგად მკვეთრად შემცირებულია სააკუმულატორო ბატარეის ტევადობა. ჰერმეტიულობის დაზიანების გამო იქმნება ელექტროლიტის დაღვრის საშიშროება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მომსახურე პერსონალის მოწავლა და დაზიანება.

შესასრულებელი სამუშაოების მიზანია ძველი რესურსამოწურული სააკუმულატორო ბატარეის შეცვლა ახლით ჰესის ოპერატიული ძაბვით საიმედო უზურნველყოფის მიზნით

2. სამუშაოს მოცულობა

- ძველი სააკუმულატორო ბატარეების დემონტაჟი და მათი დასაწყობება დამკვეთის მიერ გამოყოფილ ადგილზე.
- ახალი სააკუმულატორო ბატარეების დამონტაჟება თაროებზე, მათი შეერთება და სალტებთან დაერთება.
- მონტაჟის წინ თითოეული ელემენტის შემოწმება ჰერმეტიულობაზე, დაზიანებაზე;
- აწყობილი სააკუმულატორო ბატარეის საკონტროლო გაზომვების ჩატარება (აკუმულატორების ტევადობის განზასღვრა, ძაბვის განსასღვრა, საკონტროლო განმუხტვის/დამუხტვის ჩატარება).
- შესრულებული სამუშაოების გაზომვების და ტექნიკური აქტების შედგენა.

3. მოთხოვნები

- სააკუმულატორო ბატარეის ტევადობა - **200 ა.სთ**
- სააკუმულატორო ბატარეის თითოეული ელემენტის ძაბვა - **2,18÷2,2 ვოლტი**
- ელემენტების რაოდენობა - **110 ერთეული**

- ტიპი - არამომსახურებადი (პერმეტული) *მყავური აკუმულატორები*
- აკუმულატორები უნდა იყოს ახალი, არ ნამყოფი ექსპლუატაციაში, სრულად მზად ექსპლუატაციაში გაშვებისათვის.
- აკუმულატორების ხარისხი და წარმომავლობა დადასტურებული უნა იქნას შესაბამისი დოკუმენტებით.
- სააკუმულატორო ბატარეის საექსპლუატაციო პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ **15 წელს** ექსპლუატაციაში შეყვანიდან.

4. დამატებითი მოთხოვნები

- მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;
- წარმოდგენა იმ პროექტების, რომელიც ჩატარებულია საქართველოში;

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია